



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

აღმოსავლეთ კარტნიორობა 2020 წლის შემდეგ: მიღწეული
შედეგები და სიახლეები

თამთა ლომთაძე

142

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

თამთა ლომთაძე

აღმოსავლეთი კარტნიორუბა 2020 წლის შემდეგ: მიღწეული
შედეგები და სიასწლეუბი

142

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

2020 წლის 18 ივნისს აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერთა სამიტი ვიდეოკონფერენციის ფორმატში ჩატარდა. მიმდინარე გლობალური პანდემიისა და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი ქვეყნის – აზერბაიჯანის, ბელარუსის, მოლდოვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის – ლიდერებმა ონლაინ განიხილეს არა მხოლოდ ამჟამინდელი კრიზისი და მისი შედეგები, არამედ სტრატეგიული პარტნიორობა და პარტნიორობის ფორმატში თანამშრომლობის მომავალი.¹ ამასთან, ვირტუალურ სამიტზე მიღებული მთავარი გადაწყვეტილების თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგი სამიტი, ამჯერად – არავირტუალური, 2021 წლის მარტში ჩატარდება.

გასული სამიტი, გარდა იმისა, რომ პანდემიის ფონზე, ონლაინსივრცეში, ჩატარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ შეხვედრაში მონაწილე ლიდერებს უნდა განეხილათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი ფორმატი – პოლიტიკის პრიორიტეტები 2020 წლის შემდეგ.

სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე, მიმდინარე წლის 18 მარტს, ევროკავშირის დოკუმენტი – „ერთობლივი კომუნიკაცია – აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდეგ“ – გამოქვეყნდა. დოკუმენტი 2020 წლის შემდგომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიას შეეხება და იმ კონკრეტულ კომპონენტებს მოიცავს, რომლებიც პოლიტიკით გათვალისწინებული ხუთი ძირითადი მიზნის შესაბამისად უნდა იქნეს მიღწეული.²

დოკუმენტის გამოქვეყნება COVID 19-ის გლობალური პანდემიის დასაწყისს დაემთხვა და, შეიძლება ითქვას, რომ ამ დრომდე სათანადო ყურადღება ვერ დაიმსახურა. რამდენადაც აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების მთავარი ფორმატია, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები მისი ინიცირებიდან პირველი ათი წლის განმავლობაში და შევადაროთ, რა იცვლება 2020 წლის შემდეგ. ამრიგად, სტატიის მიზანია მიმოვიხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები და ძირითადი ამოცანები მისი ინიცირებიდან ათი წლის მანძილზე და შევადაროთ, თუ რითი განსხვავდება და რა ახალ პრიორიტეტებს ითვალისწინებს 2020 წლის მარტში გამოქვეყნებული დოკუმენტი „ერთობლივი კომუნიკაცია – აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდეგ“.

გასულ წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირებიდან ათი წელი შესრულდა, რაც საკმარისი დროა პოლიტიკის, მის ფარგლებში დასახული მიზნების შესაბამისად მიღწეული შედეგების შეფასება-გაანალიზებისათვის, რათა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში უფრო ეფექტიანად და შედეგიანად მოხდეს მისი განხორციელება და პოლიტიკით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წლიდან დღემდე – პრიორიტეტები და მიღწეული შედეგები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა მრავალმხრივი და კომპლექსური საკითხია, რომლის განხილვა და გაანალიზება სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ქრილშია შესაძლებელი. თავის მხრივ, ევროკავშირის მიმართ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირება და მისი დინამიკაც მრავალ საინტერესო კომპონენტს მოიცავს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ფორმალური ურთიერთობა და თანამშრომლობა მესამე ათწლეულია ეტაპობრივად ვითარდება – 1996 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებიდან ასოცირების შესახებ შეთანხმებამდე.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის გაცხადებულ პრიორიტეტს წარმოადგენს. საგარეო პოლიტიკის 2019-2022 წლების სტრატეგიის თანახმად, ევროკავშირში განევრიანება „საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია“, ³ ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა „აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარება“.⁴

ევროკავშირში განევრიანებას, როგორც საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტს, საქართველოს მოსახლეობის 82% უჭერს მხარს.⁵ მეორე მხრივ, ყოველწლიური გამოკითხვის 2019 წლის შედეგებით, ევროკავშირს მოსახლეობის 77% ენდობა,⁶ რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის საქართველოში ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით სარგებლობს.⁷ ამასთან, ისევე, როგორც გასულ წელს, 2020 წლის კვლევითაც, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70% მიიჩნევს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია გაზრდის ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.⁸

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა დღემდე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პლატფორმას. 2009 წელს პოლონეთისა და შვედეთის ინიციატივით შექმნილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა მიზნად ისახავდა დაინტერესებული პარტნიორებისათვის შეექმნა შესაბამისი პირობები ევროკავშირთან მათი „პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის“.⁹

რაც შეეხება უშუალოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტებს, ამჟამად აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმძღვანელო ჩარჩოს წარმოადგენს 2017 წელს ბრიუსელის სამიტზე მიღებული დღის წესრიგი – 20 შედეგი 2020 წლისათვის.¹⁰ გარდა 4 ძირითადი და „ყოვლისმომცველი შედეგისა“, როგორებიცაა, სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გენდერული თანასწორობის ზრდა და სტრატეგიული კომუნიკაციებისა და მედიაპლურალიზმის ზრდა,¹¹ პოლიტიკა მოიცავს 20 კონკრეტულ მიზანს, 4 საკვანძო სფეროს შესაბამისად. ეს საკვანძო სფეროებია:

- უფრო ძლიერი ეკონომიკა – ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები;
- უფრო მტკიცე კავშირები – კავშირები, ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება;
- უფრო ძლიერი მმართველობა – ინსტიტუტების გაძლიერება და სათანადო მმართველობა;
- უფრო ძლიერი საზოგადოება – მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები.¹²

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მიღწეულ შედეგებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მთავარი ინსტრუმენტი – ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA), რომელიც სხვადასხვა სფეროში რეფორმების მთავარ დღის წესრიგს ქმნის,¹³ ვიზალბერალიზაცია – უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან და ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად დაახლოვა საქართველო ევროკავშირთან.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით, რომელიც საქართველოს აღიარებს, როგორც „აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოს“,¹⁴

საქართველომ იკისრა სხვადასხვა სფეროში რეფორმების განხორციელების ვალდებულება, რისთვისაც ასოცირების შეთანხმება და ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმები მთავარ სახელმძღვანელო ჩარჩოს წარმოადგენს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ზემოთ განხილული პრიორიტეტების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული გამოწვევებისა, აღმოსავლეთ პარტნიორობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომ ევროკავშირის უფრო მეტადაა წარმოდგენილი რეგიონში, გაიზარდა და გაღრმავდა ინსტიტუციური კავშირები¹⁵ და შესაძლებელია ვიმსჯელოთ შედეგებზე კარგი მმართველობისა თუ შიდა რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით,¹⁶ რიგ შემთხვევებში კი, შესაძლოა ვისაუბროთ მის გეოპოლიტიკურ შედეგებზეც.¹⁷

კონკრეტული რიცხვებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს შემთხვევაში რამდენიმე მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობას ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგი. მაგალითისთვის, უმაღლესი განათლების სფეროში, ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 7500-მა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, ხოლო 9,300-ზე მეტი ახალგაზრდა ჩართული იყო სხვადასხვა ერთობლივ ტრენინგში, გაცვლით და მოხალისეობრივ პროგრამაში.¹⁸ 2018 წელს დაარსდა ევროპული სკოლა თბილისში.¹⁹

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის სფეროში. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში,²⁰ ევროკავშირი ჩართული იყო სოფლის მეურნეობის მოდერნიზების პროცესში ფინანსური და ტექნიკური დახმარების თვალსაზრისით, 2009 წლიდან 40,000-მა მცირე და საშუალო საწარმომ, მიკროსაწარმომ და ფერმერმა მიიღო, ჯამში, 130 მლნ ევროს ოდენობის გრანტი/სესხი.²¹ ამასთან, შეიქმნა 59 საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრი, რომლებმაც გადაამზადა 25,000 ფერმერი.²²

„20 შედეგი 2020 წლისათვის“ სახელმძღვანელო ჩარჩოს ვადა მიმდინარე წლის ბოლოს ეწურება. შესაბამისად, პოლიტიკის ინიცირებიდან ათი წლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა განისაზღვროს, როგორი უნდა იყოს აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდეგ, რა პრიორიტეტები უნდა ჰქონდეს მას, როგორ უნდა განვითარდეს, რომ შეესაბამებოდეს პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის ორმხრივ ინტერესს.

ჯერ კიდევ აღმოსავლეთ პარტნიორობის 2017 წლის სამიტზე (დეკლარაციით) ხაზი გაესვა პარტნიორ ქვეყნებთან გაძლიერე-

ბული ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისით დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას, რომ ურთიერთობების მასშტაბი და სიღრმე დამოკიდებულია/განისაზღვრება ევროკავშირისა და კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის ამბიციებითა და საჭიროებები, ასევე რეფორმების ტემპითა და ხარისხით.²³

მოგვიანებით, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც მხარეები აღნიშნავენ დიფერენცირების, „მეტი მეტისათვის“ პრინციპის საკვანძო მნიშვნელობას აღმოსავლეთ პარტნიორობისათვის, რაც თითოეულ პარტნიორს საშუალებას მისცემს ევროინტეგრაციის პროცესში თავისი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ამბიციების შესაბამისად იმოქმედოს.²⁴

აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი პრიორიტეტები 2020 წლის შემდგომ: რა არის ახალი?

2020 წლის 18 მარტს ევროკავშირის „ერთობლივი კომუნიკაცია – აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდგომ: მედეგობის (სიცოცხლისუნარიანობის) გაძლიერება – აღმოსავლეთ პარტნიორობა ყველასთვის“ გამოქვეყნდა. 18-გვერდიანი დოკუმენტი მოიცავს პოლიტიკის იმ ჩარჩოს, რომელითაც აღმოსავლეთ პარტნიორობამ მომავალი ათწლეულის განმავლობაში უნდა იხელმძღვანელოს. დოკუმენტის გამოქვეყნებას წინ უძღოდა მხარეთა შორის ხანგრძლივი და სტრუქტურირებული კონსულტაციები.²⁵ ამდენად, ინტერესი და მოლოდინი მის მიმართ საკმაოდ მაღალი იყო.

რაც შეეხება უშუალოდ კომუნიკაციას და მასში მოაზრებულ პრიორიტეტებს, კომუნიკაციის²⁶ დებულებების თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს – საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ბელარუსს, მოლდოვასა და უკრაინას – შორის თანამშრომლობის ყოვლისმომცველ მიზნად სახელდება მედეგობის (resilience) გაძლიერება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებისათვის კონკრეტული, ხელშესახები შედეგების მიღწევა.²⁷

კომუნიკაცია მოიცავს სფეროების ფართო სპექტრს, ხოლო დასახული, საკმაოდ ფართომასშტაბიანი და ზოგადი, მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია ხუთი ძირითადი პრიორიტეტული, გრძელვადიანი ამოცანა:

1. „პარტნიორობა, რომელიც ქმნის“ – მოიცავს ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას „მდგრადი, საიმედო და ინტეგრირებული ეკონომიკის მისაღწევად“.²⁸ ეს მიზანი, სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ვაჭრობის ზრდისა და ასოცირების ხელშეკრულებების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა და სხვა სავაჭრო ხელშეკრულებების სრულად განხორციელებაზე ფოკუსირებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას/გაუმჯობესებას და უკეთესი ენერგეტიკული თუ სატრანსპორტო კავშირების შექმნას.²⁹
2. „პარტნიორობა, რომელიც იცავს“ – დოკუმენტის თანახმად, ამოცანა უმთავრესად გულისხმობს ვალდებულებებს/თანამშრომლობას სხვადასხვა კომპონენტის³⁰ გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.³¹
3. „პარტნიორობა, რომელიც გარემოზე ზრუნავს“ – მოიცავს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას გარემოს დაცვისა და კლიმატის მედეგობის მიმართულებით.³² ამოცანის კომპონენტებს შორისაა მწვანე ტრანსფორმაციასთან, ცირკულარულ ეკონომიკასთან, ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხები.³³
4. „პარტნიორობა, რომელიც აკავშირებს“ – ამოცანის თანახმად, ევროკავშირი განაგრძობს ინვესტიციებს ციფრული ტრანსფორმაციისა და ერთიანი ციფრული ბაზრის ხელმისაწვდომობის მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, სხვა კონკრეტულ კომპონენტებს შორის მოიცავს ელ-მმართველობის გაძლიერებასა და ციფრული სტარტაპების მხარდაჭერის გააქტიურებას,³⁴ ციფრული ინოვაციების პროგრამებისა და კიბერმედეგობის გაძლიერებას.³⁵ შესაბამისად, ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელება ძირითადი სიახლეა აქამდე არსებულ პრიორიტეტებთან შედარებით.
5. „პარტნიორობა, რომელიც აძლიერებს“ – ამოცანა გულისხმობს თანამშრომლობას მედეგი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებისათვის.³⁶ იგი აერთიანებს ისეთ კონკრეტულ კომპონენტებს, როგორებიცაა, გადწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა, სა-მოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა,

კარგად ფუნქციონირებადი მედიაგარემო, ადამიანის უფლებები, მობილურობა და ადამიანური კონტაქტების ხელშეწყობა და სხვა.³⁷

პოლიტიკის ჩარჩომ გარკვეული კრიტიკაც დაიმსახურა იმ არგუმენტით, რომ კომუნიკაციას და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამომავლო ხედვას აკლია „გეოპოლიტიკური ამბიციის“³⁸ რომ ასოცირებული ქვეყნების წარმატებისათვის ასევე აუცილებელია ევროკავშირმა მოახდინოს ინვესტირება პოლიტიკის დონეზეც, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ „გონივრული (smart) და ეფექტური სტრატეგიის შემუშავებით“.³⁹ გეოპოლიტიკური ამბიციების ნაკლებობის შესახებ კრიტიკა ნაწილობრივ იმითაცაა გამონვეული, რომ იმის გათვალისწინებით ევროკომისიის 2019-2024 წლების პრიორიტეტებზე საუბრისას ხაზი იყო გასმული, რომ მომავალი წლების განმავლობაში იქნებოდა „გეოპოლიტიკური ევროკომისია“.⁴⁰

ამავე მოსაზრებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ახალი ეპოქის შესახებ ხედვების განსაზღვრა, ახალი ინსტრუმენტები და განახლებული „მეტი მეტისათვის“ პირობები, ხელახლა „დამუხტავს და მოახდენს რეგიონში პროევროპული რეფორმების კონსოლიდირებას“.⁴¹ მეორე მხრივ, ასევე კრიტიკული მოსაზრებით, კომუნიკაციას/2020 წლის შემდგომ პოლიტიკას აკლია კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული ვადები და სტრატეგიული მიზნები – „რა იქნება შემდეგი“.⁴²

პრიორიტეტების შედარება და მიმოხილვა

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ პარტნიორობა უმნიშვნელოვანესი ფორმატია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების პროცესში. მიუხედავად დღემდე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებისა, საგულისხმოა პოლიტიკის ინიცირებიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა სფეროში მიღებული ის შედეგები, რასაც ნამდვილად ჰქონდა კონკრეტული გავლენა მოქალაქეებზე. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ასოცირების შეთანხმება და DCFTA, უვიზო მიმოსვლის რეჟიმები, თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში და სხვა.⁴³

თუ შევადარებთ 2020 წლისათვის განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტებს, კომუნიკაციით შემოთავაზებული ამოცანებიდან და პრიორიტეტებიდან უმეტესი ნაწილი ემთხვევა აქამდე

დასახულ პრიორიტეტულ სფეროებს. აქვე გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი პრიორიტეტი. რომ შევაჯამოთ, კომუნიკაციით შემოთავაზებულ მთავარ სიახლეებს წარმოადგენს: განსაკუთრებული აქცენტი გარემოს დაცვის საკითხებზე (რაც, თავის მხრივ, კომპლექსური საკითხია და მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ენერგეტიკულ, გარემოს დაცვისა და კლიმატის კუთხით) და ამ მიმართულებით თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად დასახელება. ასევე სიახლეა ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით თანამშრომლობის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის გამოკვეთა. რამდენადაც ციფრული სფერო დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და სწრაფად განვითარებადია.⁴⁴

2020 წლის 11 მაისს საბჭომ მხარი დაუჭირა დოკუმენტით განსაზღვრულ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტებს. საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა აღმოსავლეთ პარტნიორობის „სტრატეგიული მნიშვნელობა“.⁴⁵

ევროკავშირი სამართლიანად მიიჩნევა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით რეფორმების მხარდამჭერად. დღესაც შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ნამდვილად მჭიდროა და დაფუძნებულია თანამშრომლობაზე. მაგალითისთვის, მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის მხარდაჭერა გლობალური პანდემიის დროს. ევროკავშირმა მოახდინა დაახლოებით 980 მილიონი ევროს მობილიზება 6 პარტნიორი ქვეყნისათვის COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული შედეგების მყისიერად აღმოსაფხვრელად.⁴⁶ აქედან საქართველოსათვის განკუთვნილია 183 მილიონ ევროზე მეტი გრანტი,⁴⁷ რაც პოლიტიკური მხარდაჭერის საკმაოდ მკაფიო დადასტურებაა.

აღსანიშნავია, რომ არსებული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია განიხილებოდეს მკაფიო და კონკრეტული მიზნები და ინდიკატორები, რასაც სამომავლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა დაისახავს. ერთი მხრივ, როგორც ასოცირების შესახებ ანგარიშშია აღნიშნული, 2020 წელი იქნება მნიშვნელოვანი/გადამწყვეტი,⁴⁸ რაც გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანია საქართველომ დროულად და ეფექტიანად შეასრულოს ასოცირების შეთანხმებითა და დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებები.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირს ჰქონდეს მკაფიო ხედვა და სტრატეგია, თუ როგორ უნდა განვითარდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი. მნიშვნელოვანია, რომ გარდა 2020 წლის შემდგომ გათვალისწინებული პრიორიტეტების, ზოგადი ჩარჩომიზნებისა და თანამშრომლობის ფორმატისა, არსებობდეს

სტრატეგიული ხედვა, რა კონკრეტული შედეგების მომტანი იქნება მხრეებისათვის ეს ფორმატი.⁴⁹

ამდენად, შესაძლებელია განვსაზღვროთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. პრიორიტეტი უნდა იყოს ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი და თანმიმდევრული განხორციელება და დაგეგმილი და გათვალისწინებული რეფორმების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს ინტეგრაციის შემდგომ ეტაპებზე გადასვლას; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარდა უშუალოდ ასოცირებით გათვალისწინებული დებულებებისა, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროს მიმართულებით მუშაობა და არსებული ვითარების გაუმჯობესება.⁵⁰ DCFTA-ის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეტ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და პოლიტიკურ ასოცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ განახლებული პოლიტიკა შეიძლება არ ითვალისწინებდეს განვითარების მკაფიო ჩანაწერს ან არ მოიცავდეს კონკრეტულ სტრატეგიულ შედეგებს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოს სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს მიმართულებით და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებს.

შენიშვნები

1. European Union (2020), “Eastern Partnership leaders’ video conference, 18 June 2020,” ხელმისაწვდომია: www.consilium.europa.eu/en/meetings/international-summit/2020/06/18/ (ნანახია: 12.07.2020)
2. European Union (2020), “Eastern Partnership policy beyond 2020 Reinforcing Resilience - an Eastern Partnership that delivers for all”, Joint Communication Brussels, 18 მარტი 2020, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, „საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022,“ ხელმისაწვდომია: www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx (ნანახია: 07.07.2020)
4. იქვე.
5. NDI (2019) საზოგადოების განწყობის კვლევა საქართველოში, ხელმისაწვდომია: www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_GEO_VF.pdf
6. EU Neighbours East (2020), „OPEN Neighbourhood - Communicating for a stronger partnership: connecting with citizens across the Eastern Neighbourhood.“ Annual Survey Report: Georgia, ხელმისაწვდომია: www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2020-06/EUNEIGHBOURS_east_AS2020report_GEORGIA.pdf (ნანახია: 06.07.2020)
7. იქვე. ამავე გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 70% ენდობა ევროკავშირს, ხოლო 59% – ნატოს, 57% – გაეროს.
8. იქვე. გვ. 18.
9. Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit, Prague, 7 May 2009 ხელმისაწვდომია: www.consilium.europa.eu/media/31797/2009_eap_declaration.pdf (ნანახია: 05.07.2020)
10. „20 შედეგი 2020 წლისათვის: რეალური სარგებელი მოქალაქეებისათვის,“ ხელმისაწვდომია: www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-11/EAP%20GENERIC%20FACTSHEET%20GE%20PRINT.pdf (ნანახია: 06.07.2020)
11. იქვე.
12. იქვე.
13. Chkhikvadze, Vano. “The Eastern Partnership: What’s next for Georgia?” *Heinrich Boll Stiftung*, 12 სექტემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: www.ge.boell.org/en/2019/09/12/eastern-partnership-whats-next-georgia (ნანახია: 02.07.2020)
14. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ოფიციალური ტექსტი. ხელმისაწვდომია: www.matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 (ნანახია: 07.07.2020)

15. Sabanadze, Natalie. "Rethinking the Eastern Partnership," EUobserver, 26 ივნისი, 2020, ხელმისაწვდომია: www.euobserver.com/opinion/148780 (ნანახია: 10.07.2020)
16. მიმდინარე წლის ივლისში გამოქვეყნდა ანგარიში „საქართველოს მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგის იმპლემენტაცია 2020 წლისთვის“, სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, რომელიც თითოეული შედეგის/მიზნის მიხედვით მიმოიხილავს მიღწეულ შედეგს და არსებულ გამოწვევებს. ანგარიში ხელმისაწვდომია: www.gip.ge/wp-content/uploads/2020/07/Deliverables-2020-Georgian.pdf
17. გოგოლაშვილი,კახა. „10 წელი აღმოსავლეთ პარტნიორობის დაარსებიდან“, რონდელის ბლოგი, 21 მაისი, 2019, ხელმისაწვდომია: www.gfsis.org/ge/blog/view/949 (ნანახია: 15.07.2020)
18. "Facts and Figures about EU – Georgia Relations," ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/eap_factsheet_georgia_en.pdf (ნანახია: 15.07.2020)
19. იქვე.
20. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის ოფიციალური ვებგვერდი (ENPARD), ხელმისაწვდომია: www.enpard.ge/ge/
21. "Facts and Figures about EU-Georgia Relations", ხელმისაწვდომია: www.consilium.europa.eu/media/44400/685-annex-5-d-georgia-factsheet.pdf (ნანახია: 12.07.2020)
22. იქვე.
23. Joint Declaration of the Eastern Partnership Summit, Brussels, 24 November 2017, ხელმისაწვდომია:www.data.consilium.europa.eu/doc/document/ST-14821-2017-INIT/en/pdf (ნანახია:12.07.2020)
24. Ministry of Foreign Affairs of Ukraine (2019), "Foreign Ministers of Ukraine, Georgia and Moldova are for differentiation within the framework of the Eastern Partnership," 5 dekemberi 2019, sagareo saqmeTa ministrebis erToblivi gancxadeba, ხელმისაწვდომია: www.mfa.gov.ua/en/news/76418-ministri-zakordonnih-sprav-ukrajini-gruziji-ta-moldovi-vistupajuty-za-diferencijovanij-pidkhid-u-ramkah-iniciativ-jes-skhidne-partnerstvo (ნანახია: 12.07.2020)
25. European Commission (2019), "The European Union opens a structured consultation on the future Eastern Partnership", Brussels 26 ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: www.ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news_corner/news/european-union-opens-structured-consultation-future-eastern-partnership_en (ნანახია: 10.07.2020)
26. European Union (2020)“*Eastern Partnership policy beyond 2020 Reinforcing Resilience - an Eastern Partnership that delivers for all*”, Joint Communication, Brussels, 18 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
27. იქვე, გვ. 2
28. European Union (2020)“*Eastern Partnership policy beyond 2020 Reinforcing Resilience - an Eastern Partnership that delivers for all*”, Joint Communication, Brussels, 18 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
29. იქვე, გვ.5-6.

30. European Union (2020) *“Eastern Partnership policy beyond 2020 Reinforcing Resilience - an Eastern Partnership that delivers for all”*, Joint Communication, Brussels, 18 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
31. იქვე, გვ. 8.
32. იქვე, გვ. 10.
33. იქვე, გვ. 10-12.
34. European Union (2020) *“Eastern Partnership policy beyond 2020 Reinforcing Resilience - an Eastern Partnership that delivers for all”*, Joint Communication, Brussels, 18 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
35. იქვე, გვ. 13-14.
36. იქვე, გვ. 14-15.
37. იქვე.
38. Kubilius, Andrius. *“The Commission’s Eastern Partnership Strategy is Disappointing,” EurActiv*, 24 March, 2020, ხელმისაწვდომია: www.euractiv.com/section/eastern-europe/opinion/the-commissions-eastern-partnership-strategy-is-disappointing/ (ნანახია: 12.07.2020)
39. იქვე.
40. European Parliament Briefing, *The von der Leyen Commission’s Priorities for 2019-2024*, European Parliament, ხელმისაწვდომია: [www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2020/646148/EPRS_BRI\(2020\)646148_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2020/646148/EPRS_BRI(2020)646148_EN.pdf) (ნანახია: 12.07.2020)
41. Kubilius, Andrius. *“The Commission’s Eastern Partnership Strategy is Disappointing,” EurActiv*, 24 March, 2020, ხელმისაწვდომია: www.euractiv.com/section/eastern-europe/opinion/the-commissions-eastern-partnership-strategy-is-disappointing/ (ნანახია: 12.07.2020)
42. Emerson, Michael, Steven Blockmans, Denis Cenuša and Tamara Kovziridze (2020) *“Eastern Partnership policy beyond 2020: advances and omissions in a vast agenda,” CEPS*, 14 April, 2020. ხელმისაწვდომია: www.ceps.eu/ceps-publications/eastern-partnership-policy-beyond-2020/ (ნანახია: 13.07.2020)
43. *“Top 10 Achievements of the Eastern Partnership in the last 10 Years,”* ხელმისაწვდომია: www.ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eastern_partnerships_top_10_achievements.pdf
44. European Union (2020) *“Shaping Europe’s Digital Future”*, ხელმისაწვდომია: www.ec.europa.eu/info/sites/info/files/communication-shaping-europes-digital-future-feb2020_en_4.pdf (ნანახია: 13.07.2020)
45. European Union (2020) *Council Conclusions on Eastern Partnership policy beyond 2020*, *ბრუსელსი*, 11 მაი 2020, ხელმისაწვდომია: www.consilium.europa.eu/media/43905/st07510-re01-en20.pdf

46. "Facts and Figures about EU-Georgia Relations", ხელმისაწვდომია: www.consilium.europa.eu/media/44400/685-annex-5-d-georgia-factsheet.pdf (ნანახია: 12.07.2020)
47. იქვე.
48. European Union (2020), Joint Staff Working Document, Association Implementation Report Georgia, ხელმისაწვდომია: www.eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_document_travail_service_conjoint_part1_v4.pdf (ნანახია: 11.07.2020)
49. Sabanadze, Natalie. "Rethinking the Eastern Partnership," EJobserver, 26 ივნისი, 2020, ხელმისაწვდომია: www.euobserver.com/opinion/148780 (ნანახია: 10.07.2020)
50. გოგოლაშვილი, კახა (2018) „აღმოსავლეთ პარტნიორობა და საქართველოს ევროკავშირში განუვრიანების პერსპექტივა“, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ხელმისაწვდომია: www.grass.org.ge/uploads/other/2018-12-17/145.pdf